სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
27.02.2014 № 38
თბილისი

სტუ-ს 2014 წლის 28 იანვრის №13 ბრძანების
ნაწილობრივი ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ (შიდა მობილობა) სტუ-ს 2014 წლის 28 იანვრის №13 ბრძანება და დაემატოს 1^1, 4^1, და 5^1 პუნქტები:

„1^1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 28 თებერვალს. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მესამე სართული, ოთახი №350);“

„4^1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა (სამშენებლო; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის; სამთო-გეოლოგიური; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის; ბიზნეს-ინჟინერინგის; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების; დიზაინის საერთაშორისო სკოლა) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად არა უგვიანეს 1 მარტისა;“

„5^1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო

პროგრამის შეცვლის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2014 წლის 1 მარტისა;“

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ. კლიმიაშვილს;
3. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*